# ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

# ოქმი #8

ქ. ცაგერი                                                    27 მაისი,  2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ონისე ჩაკვეტაძე, მარიკა კოპალიანი;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი,
გიორგი გუგავა, ნოდარი საღინაძე, ელენე საღინაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე:
დავით მუშკუდიანი;
ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილეები:
გივი გოგებაშვილი, მამუკა მამარდაშვილი, ოთარი თვარაძე,
ვიქტორ ცხვედიანი, მამუკა ჩიქოვანი, ნატო ბურჯალიანი.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი;
ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის" თავმჯდომარე: გოგიტა ახვლედიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი.
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, გორდა გვიშიანი, მარი ბურჯალიანი, თამაზ თვარაძე,
თინათინი ნემსწვერიძე, გიორგი გოლეთიანი, ბერდია კვირიკაშვილი,
ჯონი ხალიანი, ხვიჩა ჩხეტიანი, კახა ყურაშვილი;

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გიორგი ხმელიძე
მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების ფორმირების და ხაზინის განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო კოპალიანი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი:
შორენა დვალი
საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

## დღის წესრიგი

**დადგენილებები:**

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ი. ბურჯალიანი/

**განკარგულებები:**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №71-ში მდებარე 10 577.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 89.03.21.242) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობით სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.24.254; ძველი კოდი -89.03.24.001) პირველ სართულზე განთავსებული 15 კვ. მ. ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში რუსთაველის №64 ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.25.297) პირველ სართულზე 1.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით-იჯარით, სს ,,საქართველოს ბანკისთვის" (ს/ნ 2043378869) ორი წლის ვადით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ოყურეში მდებარე 1032.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ-89.10.23.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

**დადგენილებები:**

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, ი. ბურჯალიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ.
/ჭ. ჭაბუკიანი, ქ. კოპალიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №71-ში მდებარე 10 577.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 89.03.21.242) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ აღნაგობით სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.24.254; ძველი კოდი -89.03.24.001) პირველ სართულზე განთავსებული 15 კვ. მ. ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში რუსთაველის №64 ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.25.297) პირველ სართულზე 1.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით-იჯარით, სს ,,საქართველოს ბანკისთვის“ (ს/ნ 2043378869) ორი წლის ვადით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ოყურეშში მდებარე 1032.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ-89.10.23.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. ხმელიძე/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

**,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების ფორმირების და ხაზინის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო კოპალიანმა, 2026 წლის ბიუჯეტში მეექვსე ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი**

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს #2025 წლის 29 დეკემბრის 25 დადგენილებით და განისაზღვრა 17361,5 ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში მეექვსე ცვლილების შეტანა დაკავშირებულია რიგ ფაქტობრივ გარემოებებთან. მუნიციპალიტეტის მერიაში დაფიქსირებულია მოსახლეობის ერთობლივი განცხადებები, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების წერილობითი მომართვები, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოხსენებითი ბარათები. მერიამ შეისწავლა შემოსული წერილები, შესაბამისმა სამსახურებმა ადგილზე საკითხის შესწავლით შეადგინა სათანადო დოკუმენტაცია: დეფექტური აქტები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მოხსენებითი ბარათები და დასკვნები, რეკომენდაციები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 25 მაისის სტიქიის შედეგად გარკვეულ ადგილებში დაზიანდა მდინარეების ნაპირსამაგრი ზოლები. როგორც ანალიზმა გვიჩვენა, საჭიროა ბიუჯეტის პრიორიტეტებსა და პროგრამების მიხედვით დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. მერიამ მიმდინარე დონეზე შეისწავლა ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების კუთხით. დაკონკრეტდა დამატებით გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა და განისაზღვრა დამატებით საჭირო ფინანსური რესურსების საორიენტაციო რაოდენობა. ინფორმაციას წარმოგიდგენთ პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით:

**02 00 - ინფრასტრუქტურის განვითარება:**
**02 05 კეთილმოწყობის ღონისძიებები**

- სოფ.ჩხუტელში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები - 80000ლარი.
- ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ. ცხენისწყალზე და მდ.ლაჯანურზე - 62000 ლარი.
  არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 142000 ლარი

**02 06 პროექტირების და ტექ.ზედამხედველობის დაფინანსება.**

- საგზაო ინფრასტრუქტურის, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, საჯარო სკოლების რეალილიტაციისათვის და კეთილმოწყობის ღონისძიებების ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 41777ლარი.
  არსებული რესურსის გათვალისწინებით დამატებით საჭიროა - 41777 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით ჩასატარებელი ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით განიხილა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა შემოსულობების და გადასახდელების კუთხით. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შემოსავლების გაზრდა არარეალურია, ამასთან ერთად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არაა იმ მოცულობის, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი ღონისძიება განვახორციელოთ. მიმდინარე ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩია გაანალიზდეს ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილი პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით და შესაძლო ეკონომიები გადანაწილდეს ახალი საჭიროებებიდან გამომდინარე. კერძოდ,

შემცირდეს:

- სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა (ორგ.კოდი 04 01 ) – 100,0ათ.ლარით,
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია(ორგ.კოდი 02 02 01) - 42,0ათ.ლარით,
- სარეზერვო ფონდი (ორგ.კოდი 01 02 01) - 20,0ათ,ლარით.
- სანიაღვრე არხების მშენებლობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 02 02) – 10,0ათ,ლარით,
- ზოგადსაგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა (ორგ.კოდი 04 05) - 11,8ათ.ლარით.

გაიზარდოს:

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (ფასადები და სკვერები) ორგ.კოდი(02 05 01) – 80,0ათ.ლარით,
- სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია(ორგ.კოდი 02 05 04) – 62,0ათ.ლარით
- პროექტირების და ტექ.ზედამხედველობის დაფინანსება - 41,8ათ.ლარით

ასევე საკრებულოს გვინდა ვაცნობოთ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის 2026წლის 5 მაისის #ბ80.8026125001 ბრძანების შესახებ, რომელიც ეხება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის #880 განკარგულებას, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 4736058(ოთხიმილიონშვიდასოცდათექვსმეტიათასორმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით, (საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 დეკემბრის #102 განკარგულების ცვლილება), განკარგულებთ გაიზარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები(ორგ.კოდი 02 05) -346596 ლარით, რომელიც შემოსავლებში აისახება გრანტის სახით, ხოლო გადასახდელებში კეთილმოწყობის ღონისძიებები. (ცაგერის მუნიციპალიტეტის ტურისტულად მიმზიდველი ადგილების კეთილმოწყობის(სოფელ საირმის ბუნებრივი სვეტების განათება, სოფელ ალპანაში „ორპირის“ კლდეკარის განათება და მდ.ცხენისწყლის ხეობაში „სარეწკელა“-ს მონაკვეთის კლდეკარის არქიტექტურულ-ლანდშაფტური განათება) სამუშაოების მოწყობა). ამავე ბრძანებით ა(ა)იპ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბ „ამარანტების“ (ს/კ 442573029) 2026 წლის 2აპრილის #1-2026 დამფუძნებელთა კრების ოქმით დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად თანხა განისაზღვრა 100000(ასიათასი)ლარით, მიმდინარე ეტაპზე მოთხოვილი თანხამ შეადგინა 50000(ორმოცდაათიათასს ლარს, რომელიც გადასახდელებში გრანტის სახით აისახა კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაში ( ორგ.კოდი 05 02 06).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა 346596 ლარით და შეადგენს 27566,3ათ,ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

საკითხი 2

**ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ”.**

აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა შორენა დვალმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტი და 61-ე მუხლის მე2-ე ნაწილი.

აღნიშნული დადგენილების პროექტის მიღება და მისი შესრულება ფაქტობრივად წესრიგში მოიყვანს გარე ვაჭრობას: განსაზღვრავს გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი საქონლის განთავსებასა და ამისთვის განსაზღვრული ადგილების მოწყობას. ეს წესი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვას.

აღნიშნული დადგენილების შესრულება არ მოითხოვს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას. გარევაჭრობის ადგილის მოწყობა ამ დადგენილების საფუძველზე ევალება თვით გარემოვაჭრეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ”.**

საკითხი 3

**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ“.**

აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების ფორმირების და ხაზინის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო კოპალიანმა, 2026 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

## განმარტებითი ბარათი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის #25 დადგენილებით და განისაზღვრა 17361,5ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 3 თვეში ბიუჯეტში განხორციელდა 4 ცვლილება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, რომელიც განისაზღვრა 2732,2 ათ.ლარით , საიდანაც 2158,5ათ.ლარი ლარი არის საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი და 573,7ათ. ლარი მუნიციპალიტეტის ძირითადი სახაზინო ანგარიშის ნაშთია. ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხების ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში საგეგმო მაჩვენებლების ცვლილებით, შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვით და პრიორიტეტებზე გადანაწილებით. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გათვალისწინებით შეადგინა 27185,0 ათ,ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 3 თვის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 5524,6 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3887,4 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 71%-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 0,0ათ.ლარი ფაქტიურად შემოვიდა 116,3ათ.ლარი, დღგ შესრულდა 69%-ით (გეგმა 4303,5ათ.ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 2937,4 ათ.ლარი) .გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 1176,1ათ. ლარს, ფაქტიურად 745,5 ათ ლარი, ანუ გეგმის 64,0 %, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, გეგმა 145,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 163,4 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 114,5 %–ით, კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 854,6ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 231,4 ათ.ლარი, გეგმის 27,0%.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 45,0ათ. ლარით, ფაქტიურად 88,2ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 196,0%–ით, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 5,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 37,8 ათ. ლარი გეგმა შესრულდა 756,0%–ით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 3,0 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 3,1ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 104,0%–ით, შემოსავალი საქონელის და მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 18,0ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 11,6ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 65,0%–ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 5,0ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 12,3 ათ. ლარი ანუ გეგმის 246,0 %, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 2,0 ათ.ლარი და ფაქტიურად შემოსულია 14,8 ათ.ლარი.არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა 5,0 ათ.ლარი, ფაქტი 4,0ათ.ლარი. როგორც შემოსულობების ციფრობრივმა ანალიზმა გვიჩვენა გადაჭარბებით არის გეგმები შესრულებული ქონების გადასახდში, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადში, საქონელის და მომსახურების გაწევიდან, ჯარიმები და საურავებიდან, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან.

შემოსავლების გეგმების შესრულების შესაბამისად იზრდება გადასახდელების დაფინანსება, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა პროგრამების შესრულებას.

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 449,6 ათ. ლარი, დაიხარჯა 392,4 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 78,3 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 1146,7ათ ლარი, დაიხარჯა 901,5ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 78,6 %-ით. სარეზერვო ფონდი 3 თვეში დამტკიცებული იყო 47,0 ათ.ლარი, დაიხარჯა 0 ლარი.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 3997,8ათ.ლარით და დაფინანსდა 1090,8 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა–შენახვა 549,1 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 88,3 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 199,8 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 37,7 ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 2,5 ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების 2,2 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 42,2ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 31,9 ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 135,4ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 0 ათ.ლარით. აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების ასახვა ბიუჯეტში ხორციელდება სრული მოცულობით ეტაპობრივად (გამომდინარე განკარულებების ცვლილებიდან), ხოლო ინფრასტრუქტურული ობიექტების შესრულება ხორციელდება თანახმად სახელმწიფო შესყიდვების კანონისა. უნდა აღინიშნოს, რომ 2026 წლის 1იანვრისათვის არსებული ნაშთების განაწილების დროს, ძირითადად პირველ კვარტალში ხდება თანხების განთავსება, ამას ემატება კლიმატური პირობების გაუარესება(თოვლი დ ახშირი წვიმები), რაც განაპირობებს ზემოთ მითითებულ პროცენტს. აქვე მინდა გაცნობო,თ რომ აღნიშნულ პრიორიტეტში მნიშვნელოვნად დაბალი შესრულება გვაქვს დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების პროგრამაში. როგორც საკრებულოსათვის ცნობილია საქართველოს მთავრობის განკარგულებით ჩვენი მუნიციპალიტეტი განთავისუფლდა თანადაფინანსების პროგრამისაგან 2023 წელს.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 55,5%-ით ( გეგმა 1088,2ათ ლარი, ფაქტი - 604,1 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 81,1%–ით (გეგმა – 709,5ათ. ლარი, ფაქტიური – 575,5 ათ. ლარი). მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 72,7 %–ით (გეგმა –39,2ათ. ლარი, ფაქტიური 28,5 ათ. ლარი). სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა გეგმა 15,5ათ,ლარი, შესრულება 0ლარი, ზოგად საგანმანათლებლო ობიექტების რეაბილიტაცია მშენებლობა 324,0 ათ,ლარი და შესრულება0 ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 972,9 ათ. ლარით და დაფინანსდა 1096,6 ათ ლარით, გეგმა შესრულდა 88,7%-ით. მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 90,5%-ით, (გეგმა 13,4 ათ.ლარი, ფაქტი 125,3 ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი„ დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 72,8 ათ.ლარი, ფაქტი 72,8 ათ.ლარი). კულტურის ცენტრი დაფინანსდა 96,7%-ით, (გეგმა 152,6ათ. ლარი ფაქტი 147,5 ათ.ლარი), ისტორიული მუზეუმი დაფინანსდა 87,7%-ით (გეგმა 86,2ათ. ლარი, ფაქტი 75,6 ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 91,7%-ით (გეგმა 39,8თ.ლარი, ფაქტი 36,5ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 96,6%-ით (გეგმა 29,1 ათ. ლარი, ფაქტი 28,1ათ.ლარი), მთავარი ბიბლიოთეკა დაფინანსდა 95,3 %– ით (გეგმა - 89,6ათ ლარი, ფაქტიური - 85,4ათ. ლარი),კულტურული ღონისძიებების 35,5%-ით, (გეგმა 60,1ათ.ლარი, ფაქტი 21,3ათ.ლარი), რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 13,9ათ.ლარი ფაქტი 13,9 ათ.ლარი), ,ა(ა)იპ ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი" დაფინანსდა 97,8%-ით (გეგმა 58,8ათ.ლარი, ფაქტი 57,5 ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 93,4%-ით,( გეგმა 24,3 ათ.ლარი, ფაქტი 22,7ათ.ლარი),ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 81,0%-ით (გეგმა 166,6 ათ.ლარი,ფაქტი 135,0 ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 89,7%-ით (გეგმა 53,4 ათ.ლარი, ფაქტი 47,9 ათ.ლარი). ა(ა)იპ „დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიური მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ დაფინანსდა 88,4%-ით(გეგმა 18,9ათ.ლარი, ფაქტი 16,7ათ.ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 84,7%-ით (გეგმა 308,4 ათ.ლარი ფაქტი 261,1 ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 99,2%-ით (გეგმა 48,2 ათ. ლარი, ფაქტი 47,8 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 85,9%-ით (გეგმა 222,7 ათ. ლარი, 191,3ათ.ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 58,7 %-ით (გეგმა 37,5 ათ.ლარი ფაქტი 22,0 ათ. ლარით).

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ“.**

**საკითხი 4**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №71-ში მდებარე 10 577.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 89.03.21.242) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობით სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №71-ში მდებარე 10 577.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 89.03.21.242) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობით სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას საკუთრებაში აქვს ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №71-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 89.03.21.242, აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, კერძოდ ეროვნული ლიგის სპორტული მოედანი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია 2026 წლის 26 იანვრის №177-ე საქართველოს მთავრობის განკარგულების მე-13-ე პუნქტის საფუძველზე, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაეცეს ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №71-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 89.03.21.242, 10 577.00 კვ.მ. მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული ვადით 2027 წლის 30 მაისამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №71-ში მდებარე 10 577.00 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 89.03.21.242) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობით სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

**საკითხი 5**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.24.254; ძველი კოდი -89.03.24.001) პირველ სართულზე განთავსებული 15 კვ. მ. ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.24.254; ძველი კოდი -89.03.24.001) პირველ სართულზე განთავსებული 15 კვ. მ. ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია დაინტერესებული პირის განცხადება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - 15 კვ.მ. ფართის იჯარით აღების შესახებ.

აღნიშნული ქონება მდებარეობს ქ. ცაგერში რუსთქაველის №39-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე (ს/კ 89.03.24.254). საიჯარო ქირის ოდენობა შეფასებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, რომლის მიხედვით წლიური საიჯარო საფასური შეადგენს 2040 ლარს.

მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ ფართზე გამოაცხადოს იჯარა-აუქციონი წარმოდგენილი საიჯარო ქირის მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.24.254; ძველი კოდი -89.03.24.001) პირველ სართულზე განთავსებული 15 კვ. მ. ფართის ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

**საკითხი 6**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში რუსთაველის №64 ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.25.297) პირველ სართულზე 1.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით-იჯარით, სს ,,საქართველოს ბანკისთვის“ (ს/ნ 2043378869) ორი წლის ვადით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში რუსთაველის №64 ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.25.297) პირველ სართულზე 1.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით-იჯარით, სს ,,საქართველოს ბანკისთვის“ (ს/ნ 2043378869) ორი წლის ვადით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სს ,,საქართველოს ბანკი“-ს ბანკომატის განთავსებისთვის გამოიყო 1 (ერთი) კვ.მ. ფართი, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მოწოდებული დასკვნით საიჯარო ქირა განისაზღვრა თვეში 300 ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით სს ,,საქართველოს ბანკთან“ გააფორმოს შესაბამისი იჯარის ხელშეკრულება ზემოთაღნიშნული შეფასების დასკვნის მიხედვით.

იჯარის ხელშეკრულებაში ფართის ყოველთვიურ საიჯარო თანხას დაემატება ბანკომატის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური, რაც მოკვლევით შეადგენს 50 ლარს ყოველ თვეში, აქედან გამომდინარე ხელშეკრულებით ყოველთვიური ქირა განისაზღვრება 350 ლარის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ,,**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში რუსთაველის №64 ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.25.297) პირველ სართულზე 1.00 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით-იჯარით, სს ,,საქართველოს ბანკისთვის“ (ს/ნ 2043378869) ორი წლის ვადით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

საკითხი 7

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ოყურეშში მდებარე 1032.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ- 89.10.23.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ოყურეშში მდებარე 1032.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ- 89.10.23.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ, აღნიშნა რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია შპს ,,სარტყელი“-ს განცხადება მასზედ, რომ იჯარით აღებული ქონების სარგებლობის ვადა გაუგრძელდეთ საიჯარო ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდეთ საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლიდან კიდევ 6 (ექვსი) თვით. საიჯარო ქირის საფასური განსაზღვრულია და შეადგენს 1800 ლარს (6 თვის).

მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩია სოფ. ოყურეშში მდებარე 1032 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.10.23.026)პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადასცეს შპს ,,სარტყელს“ 6 (ექვსი) თვის ვადით, 2026 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ოყურეშში მდებარე 1032.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ- 89.10.23.026) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე